

კომპიუტერული სისტემა საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის საქმითა წარმოებისათვის

გელა ღვინეფაძე, ვალერი კეკელია, ნათია ლეონიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დასაპროექტებელი კომპიუტერული სისტემა, წინამორბედებისგან განსხვავებით, მუშაობს ტერიტორიულად და დროში განაწილებულ ქსელურ გარემოში. სისტემის შექმნისადმი ახალმა მიდგომამ მოითხოვა ე.წ. აქტიორებისთვის დეტალურად განსაზღვრულიყო სასამართლო საქმეზე მუშაობის წესები. ამ სისტემამაც უნდა გააკონტროლოს სასამართლო პერსონალის საქმიანობა, მაგრამ, პირველ ყოვლისა, იგი მომხმარებლისთვის თანაშემწეა, რომელიც გვაფრთხილებს „ვიწრო“ ადგილების შესახებ, ნებისმიერ სასურველ ჭრილში გამოჰყავს ბაზაში შენახული ინფორმაცია. კომპიუტერული სისტემა იქმნება MySQL-Server-ის ბაზაზე, DELPHI-7 პროგრამებით და Windows ოპერაციული სისტემის გარემოში..

საკვანძო სიტყვები: სასამართლო. ადმინისტრაციული სამართალწარმოება. კომპიუტერული სისტემა.

1. შესავალი

საქართველოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების სფეროში კომპიუტერიზებული სისტემის შექმნის მიზანია, მოახდინოს ქვეყნის მასშტაბით დროსა და სივრცეში მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესების ავტომატიზება ქსელური განაწილებული სისტემის ბაზაზე. აღნიშნულმა სისტემამ უნდა მოიცვას საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული სამივე ეტაპი – საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, აპელაციის და კასაციის ეტაპები ზემდგომ ინსტანციებში (საოლქო და უზენაეს სასამართლოებში).

სისტემას ადვილად უნდა შეეძლოს გადაწყობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანისას. მას უნდა ახასიათებდეს მაღალი საიმედოობა შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და მასში არსებული ინფორმაციის არასანქცირებული შეღწევისაგან დაცვის თვალსაზრისით. დაბოლოს, სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებლისთვის ადვილად ასათვისებელ ინტერფეისს.

ცხადია, აღნიშნული კომპიუტერული სისტემა ცარიელ ადგილზე არ იქმნება. მართლაც, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის ჩვენში ფუნქციონირებს უკვე კარგად დამკვიდრებული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლები ეფექტიანობით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, შექმნილია კომპიუტერული სისტემები სამართალწარმოების პროცესის ცალკეული სახეებისა და ეტაპების ავტომატიზებისათვის. ამ სისტემებმა აპრობაცია გაიარეს რაიონულ, საოლქო და უზენაეს სასამართლოებში და მთლიანობაში მოწონება დაიმსახურეს მომხმარებლებისგან. თუმცა სავსებით ბუნებრივია, რომ ექსპლოატაციის პროცესში გამოვლინდარიგი ხარვეზებისა და რაც მთავარია, აღნიშნულ სისტემებს გააჩნდათ მხოლოდ ლოკალური დანიშნულება – ისინი წარმოადგენდნენ ე. წ. “სამაგიდო” სისტემებს, დღევანდელმა დღემ კი დასაპროექტებლების წინაშე დააყენა თვისებრივად ახალი მოთხოვნები.

1. ძირითადი ნაწილი

საავტომატიზაციო ობიექტის წინასწარი გამოკვლევის ეტაპზე ზედა – გამსხვილებულ დონეზე დადგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესის ავტომატიზაციის ამოცანები სამივე ინსტანციის სასამართლოებისათვის:

1. საინფორმაციო ბაზის შექმნა თითოეულ ინსტანციაში გადასაწყვეტი ამოცანებისთვის
2. პირველი ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესის ავტომატიზება: ა) საქმის წარმოებაში მიღება; ბ) საქმის მომზადება; გ) სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.
3. მეორე ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესის ავტომატიზება: ა) სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება; ბ) საქმის მომზადება; გ) სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა
4. საოლქო სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის პირველი ინსტანციით განხილვა

5. უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესის ავტომატიზება:
 ა) საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღება; ბ) სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა;
 6. გლობალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება და ურთიერთგაცვლა სამივე ინსტანციის სასამართლოებს შორის.
 7. ინტერნეტის მეშვეობით მოქალაქეთა ინფორმირება მოცემული საქმის მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ, მომხმარებლების (სასამართლო სისტემის მუშაკების) გამოკითხვის საფუძველზე, შედგენილ იქნა არსებული სისტემების ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზების ჩამონათვალი. დადგინდა ასევე სასურველი, დამატებითი მოთხოვნების (ფუნქციების) სია. საინტერესოა, რომ მოთხოვნების ნაწილი ერთმანეთთან ურთიერთწინააღმდეგობაში მოდიოდა. ზოგიერთი პრობლემა გადაწყვეტილი იქნა მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი „პირველი ხელმძღვანელის“ პრინციპზე დაყრდნობით, ხოლო იქ, სადაც ეს ვერ მოხერხდა, მივმართეთ დელფის მეთოდს. თითოეულ ცდაზე საჭირო გახდა ორი-სამი ეტაპის ჩატარება. ამ გზით დაზუსტებულ და ერთმანეთისაგან გამიჯნულ იქნა, მაგალითად, მისაღებისა და კანცელარიის თანამშრომელთა ფუნქციები, კომპიუტერულ სისტემასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მიღებული შედეგების ბაზაზე სასამართლო აპარატის მუშაკებისათვის შემუშავდა რიგი რეკომენდაციებისა.

ამრიგად იქნა გათვალისწინებული სასამართლო დარგის სპეციალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, სურვილები კომპიუტერული სისტემის სრულყოფისათვის, თუმცა, ცხადია, სისტემის პროექტის შექმნისთვის უმთავრესი ბაზა გახლდათ საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები და საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის ბრძანებულებით დამტკიცებული ახალი დებულება „რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“.

სამართალწარმოების პროცესებში სასამართლო აპარატის სხვადასხვა პროფილის მრავალი მუშაკი მონაწილეობს. ჩვენ მხოლოდ ნაწილს დავრთეთ უფლება სისტემის მუშაობაში აქტიური ჩარევისა. რაც შეეხება დანარჩენ მუშაკებს, მათ უფლება ეძლევათ გაეცნონ, ფაქტობრივად, ნებისმიერი საქმის (სარჩელის) შესახებ ინფორმაციას მისი განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ისევე, როგორც საქმეში მონაწილე ყოველ დაინტერესებულ თუ, საერთოდ, გარეშე პირს (ამ უკანასკნელთ ეს შესაძლებლობა მიეცემათ სისტემის დანერგვის ბოლო ეტაპზე, როდესაც შესაბამისი ინფორმაცია ინტერნეტში განთავსდება).

ქვემოთ წარმოდგენილია სასამართლოს აპარატის მუშაკებს შორის უფლება-მოვალეობების განაწილების სია (რაიონული და საქალაქო სასამართლოების დონეზე).


ცხრილი - ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტა

	s a r C e l i		s a q m e				
	ახალი	ჩასწორება	სარჩელთან მიბმა	მოსამართლის დანიშვნა	მიღება-უარის თქმა	ჩასწორება	ოქმი
მიმღები	+	+	+	+	რ	რ	რ
კანცელარია	+	+	+	რ	რ	რ	რ
თავმჯდომარე	რ	რ	რ	+	რ	რ	რ
თანაშემწე	რ	რ	რ	რ	რ	+	რ
მოსამართლე	რ	რ	რ	რ	+	+	რ
სხდ. მდივანი	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ
გარეშე პირი	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ

“რ” სიმბოლო მიუთითებს, რომ მოცემული რანგის სასამართლოს თანამშრომელს, საქმეში მონაწილე თუ გარე პირს შესაბამისი ფუნქციის შედეგთან მხოლოდ გაცნობის უფლება აქვს.

სისტემის დაპროექტების შემდგომ ეტაპზე დავიწყეთ UML-დიაგრამების დამუშავება თითოეული ინსტანციის სასამართლოსათვის საქმისწარმოების ყოველი პოზიციისათვის. მოგვყავს საქმისწარმოების მდგომარეობის ამსახველი ერთ-ერთი ასეთი დიაგრამის გამსხვილებული სქემა რაიონული (საქალაქო) ღონისათვის:

საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე



ნახ.1. დიაგრამა - ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტა

3. დასკვნა

საქართველოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესების ავტომატიზებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული სისტემის დანერგვამ ტერიტორიულად და დროში განაწილებულ ქსელურ გარემოში პირველ ეტაპზევე გვიჩვენა, რომ იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამართალწარმოების პროცესების წარმართვის ეფექტიანობას. კომპიუტერული სისტემისათვის მონაცემთა ბაზა შეიქმნა SQL 2000-ის ბაზაზე, გამოყენებითი პროგრამები დამუშავდა DELPHI 7-ის გარემოში, ოპერაციული სისტემა - Windows 2003.

ლიტერატურა

1. თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. თბილისი, 2002 წ.
2. სამოქალაქო საქმეთა განხილვის სტატისტიკური დამუშავების სისტემა. ვერსია 1.98. თბილისი, 2002.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. „სამართალი“. თბილისი, 2006.
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. „სამართალი“. თბილისი, 2006.

AUTOMATION OF THE PROCESSES OF ADMINISTRATIVE JURISPRUDENCE

Gvinepadze Gela, Kekelia Valeri, Leonidze Natia

Georgian Technical University

Summary

Unlike the earlier systems, a computer system which is to be projected, works according to the territorial principle, in a net environment assigned for time distribution. For the so-called actors, a new approach towards the creation of the system has necessitated the requirement of the detailed definition of rules for the work on legal cases. Together with the necessity of taking control of the activity of court personnel, this system is first of all considered to be the device which should be subordinated to the needs of the consumer. It serves as a warning system which notifies about the 'narrow' places in advance and retrieves the information having been saved in the base in any desirable form. Computer system is created on the base of SQL Server 2000. Programs are processed by the use of DELPHI 7. An operating system is Windows 2003.

АВТОМАТИЗАЦИЯ ПРОЦЕССОВ АДМИНИСТРАТИВНО-СУДЕБНОГО ДЕЛОПРОИЗВОДСТВА

Гвинепадзе Г., Кекелия В., Леонидзе Н.

Грузинский Технический Университет

Резюме

Проектируемая компьютерная система от своих предшественников отличается тем, что ей предстоит работать в распределенной по территории и во времени сетевой среде. Новый подход к созданию системы потребовал детального согласования совместных действий над судебными делами между различными т. н. актерами. И данная система контролирует работу судебного персонала, однако в первую очередь она выступает в роли помощника, во время напоминая пользователю об «узких» местах, выводит хранимую в базе информацию в любых желаемых разрезах. Система создается на базе MsSQL Server. Программы разрабатываются с помощью Delphi в операционной среде Windows.